

2014 წლის 23 სექტემბერს დარეგისტრირდა შ.პ.ს „ართანა ლოპოტა“. მესაკუთრეები: 80% შ.პ.ს დეკა, 20% სს საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი. 2015 წლის ოქტომბრის თვეში, შ.პ.ს „ართანა ლოპოტას“ მიერ, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროში ჩაბარებულ იქნა მდინარე დიდხევზე ართანა ჰესის დადგმული სიმძლავრე 2,5მგვტ და მდინარე ლოპოტაზე ლოპოტა ჰესი 1-ის დადგმული სიმძლავრე 10 მგვტ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებები. 2015 წლის ბოლომდე სამშენებლო მემორანდუმის მისაღებად იგეგმება დოკუმენტაციის მომზადება და ენერჯეტიკის სამინისტროსთვის მიმართვა. გეგმის მიხედვით, მშენებლობის პროცესი უნდა დაიწყოს 2016 წლის მეორე კვარტალში.